



გურამ თავართქილაძის
სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს მიერ

სტრატეგიული გეგმა

2010–2016

მხარდაჭერილი და მოწონებულია პარტნიორთა კრების მიერ

თბილისი
2010

სტრატეგიული გეგმა 2010–2016

I. უნივერსიტეტის თვითმყოფადობა

1. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი შესახებ

II. მისია

ადიარებული ფასეულობები

III. სტრატეგიული პრიორიტეტები და სპეციფიკური მიზნები

მისწრაფებები

პრიორიტეტი 1. აკადემიური დანიშნულების სრულყოფა

სპეციფიკური მიზნები:

1.1. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება

1.2. სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხი

1.3. მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი

პრიორიტეტი 2. უნივერსიტეტის წარმატებული მენეჯმენტი

პრიორიტეტი 3. ინტერნაციონალიზაცია

პრიორიტეტი 4. ბიბლიოთეკის რესურსების განვითარება

პრიორიტეტი 5. მატერიალური რესურსების ეფექტიანი განვითარება

IV. პროგრესი

პრეამბულა

გთსუ–ს სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია 2010–2016 წლისათვის და გამოხატავს უნივერსიტეტის განვითარების პოლიტიკის პრინციპულ მიმართულებებს. სტრატეგიული გეგმა მოწონებული და მხარდაჭერილია პარტნიორთა კრების მიერ.

სტრატეგიული გეგმა შემუშავდა თანამშრომლობის საფუძველზე და წარმოადგენს შეჯერებულ დოკუმენტს, რომელიც ასახავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ფაკულტეტების, კათედრების/მიმართულებების, სამსახურებისა და სტუდენტთა ინტერესებს.

გეგმა ეფუძნება ჩვენ ხედვებსა და ვალდებულებებს ქვეყნის, საზოგადოების, სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და სხვა თანამშრომელთა მიმართ.

სტრატეგიული გეგმის შექმნა ემსახურება შემდეგ მიზნებს:

1. მკვეთრად გამოვკვეთოთ უნივერსიტეტის განვითარების გენერალური მიმართულება და მისწრაფება;
2. ყოველმხრივ მომზადებულები შევხვდეთ ცვლადი გარემოს გამოწვევებს მომავალი ექვსი წლის განმავლობაში;
3. ნათლად დავინახოთ, თუ სად ვართ დღეს, რისი მიღწევა გვსურს და როგორ უნდა მივაღწიოთ ამ მიზნებს.

I. უნივერსიტეტის თვითმყოფადობა

1. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, **გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი (გთსუ)** არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, ჩამოყალიბებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმით.

უნივერსიტეტის მისამართია: თბილისი, სამღერეთის ქუჩა N5.

გთსუ ერთ-ერთი ახალგაზრდა უნივერსიტეტია საქართველოში, თუმცა უკვე აქვს ისტორიაც, ვინაიდან აგრძელებს იმ მდიდარ ტრადიციებს, რომელთაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა უნივერსიტეტის დამაარსებელმა, მეცნიერმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ, **პროფესორმა გურამ თავართქილაძემ**.

უნივერსიტეტი მიისწრაფის ემსახუროს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და დააკმაყოფილოს ქვეყნის, საზოგადოებისა და სტუდენტების მოთხოვნილება შრომის ბაზარზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიან განათლებაზე, რისთვისაც ის უზრუნველყოფილია სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობისათვის აუცილებელი რესურსებით.

უნივერსიტეტს აქვს განსაზღვრული მისია, რომელიც გამოხატავს მის თვითმყოფადობას, აღიარებულ ფასეულობებსა და მიზნებს.

უნივერსიტეტი მოწოდებულია, დააკმაყოფილოს სტუდენტების მოთხოვნილება შრომის ბაზარზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიან განათლებაზე და უზრუნველყოფილია სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობისათვის აუცილებელი რესურსებით. სამეცნიერო ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და სალექციო კურსები სრულად მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ შინაარსს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არის მდიდარი წიგნადი ფონდი. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და ლექციების DVD ვერსიებით. ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს

მათთვის საჭირო ლიტერატურის მოძიების შესაძლებლობას აძლევს. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს უახლესი ნორმატივების მიხედვით აღჭურვილ აუდიტორიებს, რადიო და ტელე ლაბორატორიებს, იმიტირებულ სასამართლო დარბაზს, კაბინეტებსა და სააქტო დარბაზს. აუდიტორიებში განლაგებულია თანამედროვე დიზაინით შესრულებული მერხები, სალექციო და სემინარული მუშაობისათვის საჭირო თვალსაჩინოება, მედიაპროექტორები. კომპიუტერული ცენტრი აღჭურვილია უახლესი მოდელის კომპიუტერებით. ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრში განლაგებული ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერები ხელმისაწვდომია ნებისმიერი სტუდენტისათვის.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა და შინაგანაწესი ჰარმონიულად ერწყმის სტუდენტთა და შრომის ბაზარზე მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიან განათლებაზე დომინირებულ თანამედროვე მოთხოვნებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერის მართვის სამსახური, რომელიც მუშაობს სტუდენტთა პრაქტიკისა და სტაჟირების საკითხებზე. კარიერის მართვის სამსახურის მიზანია შრომის ბაზრის სისტემატური ანალიზი და მომავალი სპეციალობების სწორად განსაზღვრა, ასევე ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის განსაზღვრისათვის რეკომენდაციების მიცემა და ამ მიმართულებით სწორი საუნივერსიტეტო სტრატეგიის შემუშავება. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ისინი მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის ჩამოყალიბების, აკადემიური პროცესების მონიტორინგისა და უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მართვაში. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა მოწოდებულია დაიცვას სტუდენტთა უფლებები, ადმინისტრაციასთან ერთად უზრუნველყოს თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების პირობები და ხელი შეუწყოს სტუდენტთა შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას. მუშაობისა და დასვენების ჯგეროვანი პირობების შესაქმნელად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტ-ჟურნალისტთა კლუბი "რეპორტიორი", ლიტერატურული კლუბი, სტუდენტური კაფე, ინტელექტუალთა კლუბი და სპორტული მოედანი.

უნივერსიტეტში მოქმედებს სამი ფაკულტეტი: **ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების.**

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მიზანია ბიზნესის მართვის სფეროში მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. ფაკულტეტზე ხორციელდება ორი დონის საგანმანათლებლო პროგრამა: საბაკალავრო და სამაგისტრო.

საბაკალავრო პროგრამის საბაზისო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა მესამე კურსიდან აირჩიოს შემდეგი მიმართულებები:

- მენეჯმენტი;
- მარკეტინგი;
- ფინანსები;
- ტურიზმი

ბაკალავრიატის სრული კურსის (**240 ECTS კრედიტი**) დამთავრების შემდეგ სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შესაბამის სპეციალობებში.

მაგისტრატურაში ხორციელდება პროგრამები:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი;
- საბანკო საქმე;
- რეკრეაციული ტურიზმი.

მაგისტრატურის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი შესაბამისად საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში, საბანკო საქმესა და ტურიზმში.

ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას ახორციელებს:

1. ბიზნესის მართვის კათედრა
2. ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა
3. ინფორმატიკის კათედრა

სამართლის ფაკულტეტის მიზანია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის კომპეტენციებზე დაფუძნებული და სტუდენტებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების შეთავაზება, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი იურიდიული განათლების მიღებას საჯარო და კერძო სამართლის დარგებში; სხვადასხვა სასწავლებლების სამართლის ფაკულტეტებთან პარტნიორული თანამშრომლობის განვითარება; პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება კლინიკებისა და ლაბორატორიის ორგანიზებით; სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის ხელშეწყობა; მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვა; სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობისათვის კომფორტული გარემოს შექმნა. სამართლის ფაკულტეტის ამოცანებია: სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, სამეცნიერო კვლევების საფუძველზე სახელმძღვანელოების, სალექციო კურსების მომზადება, წამყვან უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროგრამების/კურსების მომზადება და განხორციელება, ურთიერთგაცვლის პრაქტიკის დანერგვა, მობილობის ხელშეწყობა, კონფერენციებში მონაწილეობა, კანონმდებლობის შესაბამისად აკადემიური პერსონალის არჩევა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფა, საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი განახლება.

ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას ახორციელებს:

1. საჯარო სამართლის კათედრა
2. კერძო სამართლის კათედრა

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი სთავაზობს სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამებს საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე. სასწავლო პროცესში აკადემიურ პერსონალთან ერთად აქტიურად არიან ჩართულნი ცნობილი პრაქტიკოსი ჟურნალისტები.

ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას ახორციელებს:

1. ჟურნალისტიკის კათედრა
2. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა
3. უცხო ენათა ცენტრი

უნივერსიტეტის ისწრაფვის, რათა პროფესორ-მასწავლებლებს, ყველა სტუდენტს, თითოეულ თანამშრომელს კარგად ჰქონდეთ გააზრებული უნივერსიტეტის მისია, საქმიანობის პრინციპები, საკუთარი უფლებები და მოვალეობები, პირადი პასუხისმგებლობა, ეთიკური ნორმების დაცვის აუცილებლობა, რაც განაპირობებს „დისციპლინირებულ ინტელექტუალურ საქმიანობას“ (ვილჰელმ ჰუმბოლტი) და მყარი გარანტიაა უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური თავისუფლების ეფექტიანი გამოყენების, სწავლისა და სწავლების ადეკვატური პირობების შესაქმნელად.

II. მისია

კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი აღიარებს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის აუცილებლობას და თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად, ავტონომიურობის უფლების დაცვით. გთსუ ითვალისწინებს ბოლონის დიდი ქარტიითა (Magna Charta) და ლისაბონის კონვენციით გამოხატულ პრინციპებს, ამასთან, უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული ინტერესების შესატყვისი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სასწავლო უნივერსიტეტში აღიარებული ძირითადი ფასეულობებია:

- ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და ღირებულებების პატივისცემა;
- ეროვნული ინტერესებისა და კანონის უზენაესობა;
- დემოკრატიულობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა;
- პროფესიონალიზმი, განათლებისა და კვლევის მაღალი ხარისხი;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება;
- აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლება;
- კეთილსინდისიერება;
- ანგარიშვალდებულება.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, ადმინისტრაცია და პარტნიორთა კრება თანხმდებიან, რომ გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა:

აკადემიური დანიშნულების სრულყოფა და მაღალი კორპორატიული რეპუტაციის მქონე დაწესებულების სახელის მოპოვება და დამკვიდრება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მომავალში მის საზღვრებს გარეთაც.

მისიის განხორციელების მექანიზმებია:

- უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებებით;
- პროფესიული განათლების პროგრამის/პროგრამების მომზადება-განხორციელება;
- ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად ახალი (მათ შორის, უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის) პროგრამის მომზადება-განხორციელება;
- მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, საზოგადოებრივად პასუხისმგებლიანი პროფესიონალების მომზადება, რომელნიც პატივს სცემენ და აღიარებენ დემოკრატიულ ღირებულებებს, ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს; კულტურათაშორისი ურთიერთობების, ტოლერანტობისა და ჰუმანიზმის იდეალებს;
- სტუდენტების უზრუნველყოფა ახალ ცოდნაზე და კვლევებზე დაფუძნებული, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადი და შესადარისი სასწავლო პროგრამების არჩევანით; სტუდენტთა აკადემიური და პერსონალური განვითარების, თვითრეალიზაციისა და კარიერული წარმატებისათვის ყველა პირობის შექმნა;
- ცოდნის სოციალური ტრანსფორმაციის აუცილებლობის გათვალისწინება და განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და დახვეწის გზებზე პერმანენტული ზრუნვა;
- სტუდენტების უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელი დაცვა; სამეცნიერო აქტივობებში, ჯანსაღ სპორტულ-შემოქმედებით სტუდენტურ ცხოვრებაში სტუდენტთა მოტივირებასა და ჩართვაზე ზრუნვა; სტუდენტთა ლიდერობის უნარ-ჩვევების, ინიციატივის, კრეატიულობისა და აქტიურობის ყოველმხრივი წახალისება;

- გთსუ-ს კორპორატიული სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტებთან ინდივიდუალური მიდგომების გზების ძიება, მათთან გულისხმიერი და კოლეგიალური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე ზრუნვა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების პირობების შექმნის მიზნით, დამსაქმებლებთან ურთიერთობების გაღრმავება; კურსდამთავრებულებთან ურთიერთობების ეფექტიანი ტაქტიკის შემუშავება, რისთვისაც უნივერსიტეტი აცხადებს მზადყოფნას მუდმივად გაუწიოს მათ უანგარო დახმარება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წარმოქმნილი საჭიროებების შესაბამისად, კონსულტაციების, კურსების, უახლესი ლიტერატურით უზრუნველყოფისა და სხვა გზებით;
- პროფესორ-მასწავლებლების აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა, მათი პროფესიონალიზმის, კვალიფიკაციის, გამოცდილების, ინიციატივების, შემოქმედებითობის პატივისცემა და წახალისება; სამეცნიერო კვლევებისა და საგრანტო პროექტების მომზადებისათვის პირობების შექმნა; ქართულ ენაზე მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის განსაკუთრებული ხელშეწყობა; ცოდნისა და გამოცდილების მუდმივი განახლებისა და სრულყოფის მიზნით, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას (მათ შორის საზღვარგარეთ), სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფა;
- ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრის მოზიდვის, მათი პროფესიული, და სამეცნიერო-პედაგოგიური ზრდის ყოველმხრივი ხელშეწყობა;
- საზოგადოების უწყვეტი განათლებისთვის (LLL) პირობების შექმნა;
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება და განვითარება;
- დაწესებულების ორგანიზაციული კულტურისა და ძირითადი ფასეულობების: მართვის დემოკრატიულობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა და გაფრთხილება; უნივერსიტეტის მართვაში, საგანმანათლებლო-სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, შეფასებისა და კონტროლის პროცესში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობის ყოველმხრივი ხელშეწყობა;
- მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოიყენება და სრულყოფა;

გთსუ მოწოდებულია მუდმივად გაანალიზოს და განახლოს მისია, რათა უზრუნველყოს სასწავლო დაწესებულების შესაბამისობა სახელმწიფოს, საზოგადოების, შრომის ბაზრის ცვლად მოთხოვნებთან და თანამედროვე გამოწვევებთან.

III. სტრატეგიული პრიორიტეტები და სპეციფიკური მიზნები

სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს თავის მისწრაფებებს:

1. გაზდეს ფართოდ ცნობადი, მაღალი რეპუტაციის, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო დაწესებულება
2. იქცეს ლიბერალური განათლების პრინციპებითა და პრაქტიკაზე დაფუძნებული ფუნდამენტური ცოდნის გადაცემით გამორჩეულ ერთ-ერთ სანიმუშო სასწავლო უნივერსიტეტად
3. მიაღწიოს სწავლა-განათლების მეთოდის ხელმისაწვდომობას ყველასთვის და განათლების დონეს, ნაკარნახევს საზოგადოებრივი მოთხოვნებითა და საზოგადოების კანონზომიერი განვითარებით


ამ მისწრაფებების რეალიზაციისათვის შექმნილ სტრატეგიულ გეგმაში ასახულია სასწავლო უნივერსიტეტის სპეციფიკურობა, მოცემულია გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური მიზნები და დროში გაწერილი აქტივობები.

სტრატეგიული გეგმა ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად პრიორიტეტებზე:

- | | |
|---------------|--|
| პრიორიტეტი 1. | აკადემიური დანიშნულების სრულყოფა |
| პრიორიტეტი 2. | უნივერსიტეტის წარმატებული მენეჯმენტი |
| პრიორიტეტი 3. | ინტერნაციონალიზაცია |
| პრიორიტეტი 4. | ბიბლიოთეკის რესურსების განვითარება |
| პრიორიტეტი 5. | მატერიალური რესურსების ეფექტიანი განვითარება |

პრიორიტეტი 1. აკადემიური დანიშნულების სრულყოფა

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, როგორც სასწავლო დაწესებულება თავის აკადემიურ დანიშნულებად მიიჩნევს კვლევებზე დაფუძნებული ცოდნის დაგროვებას, შენახვას, განვითარებასა და გადაცემას. ამასთან აღიარებს, რომ ამ პროცესში ის უნდა იყოს აკადემიური თავისუფლებითა და ავტონომიურობით აღჭურვილი. აკადემიური თავისუფლების კონცეფცია კი უნდა ეფუძნებოდეს პასუხისმგებლობებს. აკადემიური დანიშნულების სრულყოფა საუნივერსიტეტო მისიაა, რომელიც შემდეგი სპეციფიკური მიზნების წარმატებით განხორციელებით მიიღწევა.



1. სპეციფიკური მიზანი: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება

სწავლების სტუდენტზე ორიენტირება თანამედროვე ევროპული განათლების უმთავრესი მოთხოვნა და უნივერსიტეტის აკადემიური დანიშნულების სპეციფიკური მიზანია. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დახვეწა–განვითარებისა და სტუდენტთა მოლოდინების დაკმაყოფილებისათვის უნივერსიტეტის მიზნებია:

- ◆ აკადემიური პროგრამების, კურსების, ფაკულტეტების სისტემატური განვითარება;
- ◆ სტუდენტთა აკადემიური მიღწევებისა და პერსონალური შესაძლებლობების ზრდის პირობების შექმნა;
- ◆ სტუდენტების უზრუნველყოფა მაღალი ხარისხის, თანამედროვე ცოდნაზე დაფუძნებული პროგრამებით ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა სფეროში, როგორც ბაკალავრიატში, ისე მაგისტრატურაში;
- ◆ პროგრამების დივერსიფიკაცია, როგორც პროფესიული განათლების, ისე დოქტორანტურის დონეებზე;
- ◆ მაღალი პროფესიონალიზმითა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით გამორჩეული აკადემიური პერსონალის შერჩევა, რომელიც გაიზიარებს უნივერსიტეტის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მიზნებს და წარმატებით განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ამოცანებს;

- ◆ დანერგოს და განავითაროს სწავლებისა და სწავლის ახალი და მრავალფეროვანი მეთოდები და ტექნოლოგიები, რაც მისცემს სტუდენტებს შესაძლებლობას წარმატებით მიაღწიონ ზოგად/ტრანსფერულ და დარგობრივ/აკადემიურ კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლის შედეგებს;
- ◆ უზრუნველყოს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავების უფლების დაცვა;
- ◆ ასწავლოს სტუდენტებს, როგორ გამოიყენონ მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკაში, რისთვისაც უნივერსიტეტმა უნდა განავითაროს თეორიის პრაქტიკასთან დაახლოების მეთოდები და შესაძლებლობები;
- ◆ უზრუნველყოს სტუდენტთათვის პრაქტიკის ადგილზე გავლის პირობები ლაბორატორიების, სტუდიების, კლინიკების, მოდელირებული ბანკის, ტურისტული სააგენტოსა და სხვათა შექმნის გზით;
- ◆ შექმნას და გააფართოვოს პარტნიორი ორგანიზაციების (დამსაქმებლების) ქსელი სტუდენტთა პრაქტიკისა და სტაჟირების უზრუნველსაყოფად;
- ◆ შექმნას და გააფართოვოს ქართული და ევროპული პარტნიორი უნივერსიტეტების ქსელი;
- ◆ შექმნას საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი კურსების, პროგრამების მომზადებისა და განხორციელების, სხვადასხვა გაცვლითი პროგრამების რეალიზაციის პირობები;
- ◆ ხელი შეუწყოს სტუდენტის აკადემიური მოტივობის (მათ შორის საზღვარგარეთ) განხორციელებას;
- ◆ შექმნას პირობები სტუდენტთა განათლების დივერსიფიცირებისათვის კურსების, ტრენინგების, მასტერ-კლასების ორგანიზებით;
- ◆ შეიმუშაოს და დანერგოს დისტანციური და ელექტრონული სწავლების ფორმები;
- ◆ ყოველმხრივ წახალისოს და მხარი დაუჭიროს სტუდენტთა შემოქმედებით ინიციატივებსა და აქტივობებს;
- ◆ შექმნას სტუდენტთა შორის ჯანსაღი კონკურენციის პირობები სამეცნიერო კონფერენციების, ოლიმპიადების, ინტელექტუალური და შემოქმედებითი კონკურსების, სპორტული შეჯიბრებების, გამოფენებისა და სხვა ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერითა და ორგანიზებით; დააჯილდოვოს ისინი სერტიფიკატებით, სიგელებით, პრიზებით;
- ◆ დააჯილდოვოს აკადემიურად წარმატებული სტუდენტები „გურამ თავართქილაძის სახელობის სტიპენდიით“ და სტიპენდიის მოპოვების ღია და გამჭვირვალე წესის შესაბამისად;
- ◆ უზრუნველყოს სტუდენტები კონსულტაციებითა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობით, რაც მათ დაეხმარება აკადემიურ არჩევანში, პერსონალური განვითარების გეგმის შემუშავებასა და მომავალ კარიერულ წინსვლაში;
- ◆ გაუწიოს სტუდენტებს კონსულტაციები საზღვარგარეთ სასწავლებლად სტიპენდიების მოპოვების, ფონდების, პროგრამების თაობაზე და უზრუნველყოს ისინი ინფორმაციის ხელმისაწვდომობით აღნიშნულთან დაკავშირებით;
- ◆ ხელი შეუწყოს სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას და ამასთან, მტიცედ დაიცვას მათზე ზემოქმედების დაუშვებლობის პრინციპი;
- ◆ გაამდიდროს და განაახლოს ყველა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი საბიბლიოთეკო ფონდი თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურით;
- ◆ იზრუნოს სტუდენტთათვის კომფორტულ, თანამედროვე საუნივერსიტეტო ფიზიკური გარემოზე და მატერიალური რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე;
- ◆ ფართოდ დანერგოს სასწავლო უნივერსიტეტში ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა თოთოეული სტუდენტისათვის;

- ◆ შექმნას და განავითაროს სხვადასხვა სახის სერვისები სტუდენტთათვის (თავისუფალი ინტერნეტი; უფასო სამედიცინო და სატრანსპორტო მომსახურება; კვების კომფორტული ობიექტი; ტელევიზორები; ქსეროქსი და სხვა.);
- ◆ მოაწიოს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის;
- ◆ იზრუნოს კურსდამთავრებულთა კარიერის მართვაზე.

2. სპეციფიკური მიზანი: სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხი

სწავლებისა და კვლევის მაღალი სტანდარტების მიღწევა გთსუ-ს აკადემიური დანიშნულების სრულყოფის ერთერთი მნიშვნელოვანი გზაა. სწავლების ხარისხის განუხრელი ზრდა ჩვენი აზრით ლიბერალური განათლების პრინციპებითა და მეცნიერულ კვლევებსა და პრაქტიკაზე დაფუძნებული ფუნდამენტური ცოდნის გადაცემით შეიძლება მიღწეულ იქნეს. ლიბერალური განათლება - ეს თავისუფალი ადამიანის განათლებაა, ხოლო თავისუფალი ადამიანი არის ის, ვინც აკეთებს არჩევანს და სახავს მიზნებს. უნივერსიტეტისთვის არსებითად მნიშვნელოვანია თავისუფალი ადამიანების მომზადება მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის, რომელიც მუდამ მზად იქნება ახალი ცოდნის მისაღებად და პროფესიის შესაცვლელადაც.

ამდენად აკადემიური დანიშნულების სრულყოფისათვის უნივერსიტეტის მიზნებია:

- ◆ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ◆ საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ◆ დიპლომის დანართების ფორმების შემუშავების უზრუნველყოფა;
- ◆ უნივერსიტეტის ავტორიზაცია;
- ◆ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია;
- ◆ უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეტაპობრივი სრულყოფა;
- ◆ საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის პირობების შექმნა;
- ◆ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სისტემატური, მოკლე და გრძელვადიანი დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება;
- ◆ სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სისტემატური შეფასება და შეფასების პროცესის ობიექტურობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- ◆ საბაკალავრო, სამაგისტრო, პროფესიული, სადოქტორო და უწყვეტი განათლების პროგრამების შედგენის მკაფიოდ განსაზღვრული წესის მომზადება;
- ◆ საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურების მომზადება;
- ◆ საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების (ინდიკატორები) მომზადება;
- ◆ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და მოდიფიცირების პროცესის საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- ◆ სტუდენტების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში;
- ◆ სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის მოტივირება და უზრუნველყოფა;
- ◆ გთსუ-ს აკადემიური პერსონალის, პარტნიორი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების, მოდიფიცირებისა და სრულყოფის პროცესში;

- ◆ პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის, უცხოური კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების მონაწილეობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების, მოდიფიცირების და სრულყოფის პროცესში;
- ◆ პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების, მოდიფიცირებისა და სრულყოფის პროცესში;
- ◆ საგანმანათლებლო პროგრამების საინფორმაციო უზრუნველყოფა (ინფორმაციის განთავსება გთსუ ვებ-გვერდზე, ბროშურების, ბუკლეტების დამზადება, რეკლამა ტელევიზიით და სხვ.);
- ◆ სტუდენტთა საკონსულტაციო სამსახურის ამოქმედება (საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო დონეზე);
- ◆ აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარის მომზადება და თვითშეფასების პროცედურის ორგანიზება (თვითშეფასების კითხვარის შედეგების გათვალისწინება აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი წინსვლის, მატერიალური სტიმულირების დროს);
- ◆ სტუდენტთა შეფასებების ანალიზი (შედეგების გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების, სასწავლო პროცესის სრულყოფის პროცესში);
- ◆ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე აკადემიური პერსონალის მუდმივი ინფორმირება.

3. სპეციფიკური მიზანი: მაღალი კვალიფიკაციის აკადემიურ პერსონალი

თანამედროვე ცოდნაზე დაფუძნებული პროგრამების განახორციელებას შეძლებენ მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ავლენენ სიახლეების მიღების მზაობას და აქვთ მათი განხორციელების უნარი; უნივერსიტეტის თითოეულმა პროფესორმა უნდა გააცნობიეროს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების კონცეფციის მნიშვნელობა და საქმიანობა წარმართოს სტუდენტზე ორიენტირებით, თანამედროვე მოთხოვნების თანხვედრით და არა საკუთარი შესაძლებლობებისა და სურვილების ფარგლებში; აკადემიური პერსონალის ყველა ქმედება უნდა ეფუძნებოდეს უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრულ ფასეულობებსა და მიზნებს. თითოეულმა პედაგოგმა და მკვლევარმა მკაფიოდ უნდა გააცნობიეროს საკუთარი როლი და წვლილი უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიაში. ამდენად, აკადემიური დანიშნულების სრულყოფის საფუძველია მაღალი კვალიფიკაციის აკადემიურ პერსონალზე ორიენტირება, რის მისაღწევადაც უნივერსიტეტის მიზნებია:

- ◆ სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- ◆ მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების აკადემიური პერსონალის შერჩევა კონკურსების გზით;
- ◆ აკადემიური პერსონალის მიერ უახლეს ცოდნაზე, მეთოდებზე, ლიტერატურაზე (მათ შორის უცხოურენოვან წყაროებზე) დაფუძნებული სასწავლო კურსებით სტუდენტთა უზრუნველყოფა;
- ◆ მაღალი კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმის, გამოცდილების, პასუხისმგებლობის ინიციატივის, კრეატიულობის მუდმივი წახალისება უნივერსიტეტის პარტნიორთა კრებისა და ადმინისტრაციის მიერ;
- ◆ პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების განუხრელი დაცვა და უზრუნველყოფა;
- ◆ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნიკებში, ასევე უცხოურ ენებში, სტაჟირებების, მივლინებების, ტრენინგების, კურსების ორგანიზებით;

- ◆ აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემისას ისეთი მეთოდების შერჩევა, რაც ხელს შეუწყობს მათში კრიტიკული აზროვნების, დასკვნების გამოტანის, კომუნიკაციის, ანალიზისა და სინთეზის, ორიგინალური იდეების შემუშავების, პრობლემების მოქნილად გადაწყვეტისა და სხვა მნიშვნელოვანი კომპეტენციების დაუფლებას;
- ◆ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- ◆ პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური მობილობის ხელშეწყობა;
- ◆ ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრის მოზიდვა, მათი სამეცნიერო-პედაგოგიური ზრდისა და სრულყოფის ყოველმხრივი ხელშეწყობა;
- ◆ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების მომზადებისათვის პროფესორ-მასწავლებელთა მოტივირება და ხელშეწყობა;
- ◆ აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო და სამეცნიერო საგრანტო პროექტების მომზადების (მათ შორის საერთაშორისო პროექტების, როგორიცაა TEMPUS, ERASMUS MUNDUS, LINNEAUS PALME და სხვა) ყოველმხრივი ხელშეწყობა;
- ◆ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კონფერენციებში (მათ შორის საერთაშორისო) მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ◆ სამეცნიერო კონფერენციების (მათ შორის საერთაშორისო) ორგანიზება და/ან ორგანიზების ხელშეწყობა;
- ◆ სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომების გამოცემის ხელშეწყობა;
- ◆ აკადემიური პერსონალის სოციალური საკითხების და/ან პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა (მაგ. სამედიცინო დაზღვევა და სხვა);
- ◆ აკადემიურ პერსონალთან მონიტორინგის შეხვედრების სისტემატური ჩატარება მათი პრობლემების, კრიტიკული ხედვების, ახალი იდეების და სხვა საკითხების გაცნობისა და გაზიარების მიზნით;
- ◆ აკადემიური პერსონალის დაწინაურების, ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნის, წახალისების შემთხვევაში გენდერული ბალანსის დაცვის უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი 2. წარმატებული მენეჯმენტი

ეროვნული ინტერესების დაცვა და კანონის უზენაესობა, დემოკრატიულობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, კეთილსინდისიერება და ანგარიშვალდებულება უნივერსიტეტის მართვის ყველა რგოლის საქმიანობის ძირითადი ღირებულებებია. გუნდური მუშაობა, დისკუსიები, გადაწყვეტილებების მიღებისა და პრობლემების გადაჭრის კოლაბორაციული მეთოდი, კარგი კომუნიკაცია, კოორდინაცია და ინფორმაციის გავრცელება კი ამ ღირებულებების განხორციელების საშუალებებს წარმოადგენს. „**ღია კარი, ღია გული, გახსნილი გონება**“ ის პრინციპებია, რომელითაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობს მართვის პროცესში. ამდენად წარმატებული მენეჯმენტის განხორციელების მიზნებია:

- ◆ სასწავლო უნივერსიტეტის მართვა კანონის უზენაესობის, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით;
- ◆ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალობის, თანამშრომლობისა და ინფორმირებულობის პრინციპების დაცვა;
- ◆ უნივერსიტეტის მისიისა და მისწრაფებების განხორციელების მართვა;
- ◆ უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების მართვა;
- ◆ ოპტიმალური საუნივერსიტეტო სტრუქტურის შექმნა და ფუნქციების განაწილება;
- ◆ სხვადასხვა ინსტიტუციური რისკები (კონკურენცია, რეპუტაცია, ფინანსები, ოპერაციული ქმედებები, პირმოთნეობა და სხვა) მართვა;
- ◆ რესურსების ლოკალიზებისა და განაწილების სტრატეგიის განვითარება უნივერსიტეტის აკადემიური დანიშნულების მიზნებისათვის;
- ◆ უნივერსიტეტის ძირითადი აკადემიური მიზნების ოპერაციული მხარდაჭერა მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრიორიტეტების, შეფასების კრიტერიუმებისა და შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების შექმნით;
- ◆ განავითაროს და გააძლიეროს ცალკეული ლიდერის უნარები, მათი დაწინაურებისა და მენეჯმენტში განსახორციელებელი ცვლილებისათვის;
- ◆ მაღალი რეპუტაციის სასწავლო დაწესებულების სახელის მოპოვება და დამკვიდრება საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში;
- ◆ უნივერსიტეტის იმიჯის წინააღმდეგ, საზოგადოების ინფორმირებაზე და სტუდენტების მოზიდვაზე მუდმივი ზრუნვა;
- ◆ კოლეგებს შორის ძლიერი კომუნიკაციების განვითარება სტუდენტთა განათლების შესაძლებლობების განვითარებისა და მაღალი ხარისხის მიღწევისათვის;
- ◆ სამართლებრივი აქტების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი;
- ◆ აკადემიური პროცესისა და ადმინისტრაციული მართვის სისტემის მუდმივი შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მოქნილი მოდიფიცირება;
- ◆ სწავლებისათვის, სამეცნიერო კვლევებისათვის, ჯანსაღი სტუდენტური ცხოვრებისათვის კომფორტული, თანამედროვე და უსაფრთხო საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა და განვითარება;
- ◆ უნივერსიტეტის თანამშრომლობის ქსელის შექმნასა და განვითარებაზე ზრუნვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო მართვის მიმართულებებით;
- ◆ ოჯახური და მეგობრული ურთიერთობების ატმოსფეროს ჩამოყალიბებაზე ზრუნვა აკადემიურ და არაკადემიურ პერსონალს შორის;
- ◆ შესაძენი პროგრესის მიღწევა ფაკულტეტების, პროგრამების, სტუდენტური თვითმმართველობის, ინფრასტრუქტურის, აკადემიური პერსონალის დივერსიფიკაციის მიმართულებით.
- ◆ ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა;
- ◆ ყოველწლიური ანგარიშგება საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე.

პრიორიტეტი 3. ინტერნაციონალიზაცია

გთხოვთ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ბოლონის დიდი ქარტიითა (Magna Charta) და ლისაბონის კონვენციით გამოხატული პრინციპებით, და თავის ვალდებულებად თვლის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობას, ამდენად, ზრუნავს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისათვის. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება საგანმანათლებლო-სამეცნიერო, საგრანტო პროექტების მიმართულებებით, ისევე, როგორც საუნივერსიტეტო მენეჯმენტისა და მარკეტინგის კუთხით, აუცილებელი პირობაა უნივერსიტეტის ამბიციური მიზნების მისაღწევად და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი მომავლის მენეჯერების, სამართალმცოდნეების, ჟურნალისტების, ფსიქოლოგების ჩამოყალიბებას. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიზნებია:

- ◆ ბოლონის დიდი ქარტიითა (Magna Charta) და ლისაბონის კონვენციით გამოხატული პრინციპების დანერგვა-განვითარება;
- ◆ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა;
- ◆ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადი და შესაძარისი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა;
- ◆ უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელის შექმნა-გაფართოვება პრიორიტეტებზე ფოკუსირებითა და ეტაპობრივად;
- ◆ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება, და მათში გაწერილი შეთანხმების პუნქტების რეალიზაცია;
- ◆ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის აკადემიური მობილობის პირობების შექმნა;
- ◆ თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდების, ტექნიკების, ლიტერატურის დანერგვა-გამოყენება;
- ◆ ერთობლივი საგანმანათლებლო კურსების შექმნა;
- ◆ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა;
- ◆ სტუდენტთა დამატებითი განათლებისა და პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოცდილი მეცნიერებისა და ექსპერტების მოწვევა, მასტერ-კლასების, ტრენინგების, სემინარების ორგანიზება;
- ◆ საგამომცემლო სახლებთან თანამშრომლობა უახლესი ლიტერატურით უნივერსიტეტის უზრუნველყოფისათვის;
- ◆ საერთაშორისო საგანმანათლებლო წრეებთან აკადემიური პერსონალის კომუნიკაციის უნარების გასაუმჯობესებლად კურსების ორგანიზება ინგლისურ ენაში;
- ◆ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა;
- ◆ საერთაშორისო პროექტებში ჩართვა;
- ◆ სტუდენტთა მუდმივი ინფორმირება საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ.

პრიორიტეტი 4. ბიბლიოთეკის რესურსების განვითარება

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური დანიშნულების წარმატებით განხორციელების ფუნდამენტური საშუალებაა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, სტატიების, ჟურნალების ბეჭდური და ელექტრონული რესურსების მუდმივი გამდიდრება და მისაწვდომობა უნივერსიტეტის სტრატეგიის უმთავრესი ფოკუსია. ბიბლიოთეკა სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო გამოცდილებისა და ორივე საფეხურის სწავლების სტუდენტთა მოთხოვნილების ინტეგრალური ნაწილია. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობას წარმართავს მიღებული სადირექტივო დოკუმენტების მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (#618, 11.XI. 2005წ.) და სხვა ნორმატიული თუ სარეკომენდაციო დოკუმენტების შესაბამისად.

უნივერსიტეტი აცნობიერებს, რომ ბიბლიოთეკის განვითარებისათვის მწირი ბიუჯეტის გამოყოფა და/ან მისი შეკვეცა დაუშვებელია და ხელს შეუშლის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური მიზნების მიღწევას, აგრეთვე მკვეთრად შეამცირებს მის კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო სივრცეში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბიბლიოთეკის განვითარების მიზნებია:

- ◆ შექმნას და გაამდიდროს საბიბლიოთეკო ფონდი ქართული და უცხოური სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო ნაშრომებით, პერიოდული გამოცემებით;
- ◆ მიუსადაგოს ბიბლიოთეკის რესურსები სწავლებას, სწავლასა და კვლევებს სასწავლო უნივერსიტეტში;
- ◆ მუდმივად შეაფასოს, საბიბლიოთეკო ფონდის შესაბამისობა გთსუს-ს აკადემიურ მიზნებთან;
- ◆ განავითაროს ფაკულტეტებისა და ბიბლიოთეკის კავშირები, რათა განისაზღვროს ბიბლიოთეკის რესურსებით უზრუნველყოფის პრიორიტეტები, გამოიკვეთოს და მოხდეს დროული რეაგირება რესურსების დეფიციტზე;
- ◆ დამყარდეს პარტნიორული ურთიერთობები სხვა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებთან;
- ◆ შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა;
- ◆ დაინერგოს სტუდენტთა მომსახურების თანამედროვე სტანდარტები;
- ◆ უზრუნველყოს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის წვდომა ბიბლიოთეკის რესურსებზე;
- ◆ უზრუნველყოს ფაკულტეტების ინფორმირებულობა სასწავლო უნივერსიტეტის პროფილის შესაბამის როგორც ქართულ, ისე უცხოურენოვან უახლეს ლიტერატურასთან დაკავშირებით;
- ◆ გაწევრიანდეს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში;
- ◆ შეიქმნას მკითხველისათვის კომფორტული გარემო;
- ◆ დაინერგოს ელექტრონული სააბონენტო სისტემის;
- ◆ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საბიბლიოთეკო კონკურსებში მონაწილეობა;
- ◆ დაიცვას, გაამდიდროს და გაუფრთხილდეს ბიბლიოთეკის ქონებას.

პრიორიტეტი 5. მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენება

